კავშირი იდენტობის განზომილებებს, თვითშეფასებასა და გენერალიზებულ შფოთვით აშლილობას შორის

მარიამ კვარაცხელია - ზირაქაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, PHD.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა განიხილავს იდენტობის ფორმირების ადაპტური და დეზადაპტური განზომილებების კავშირს გენერალიზებულ შფოთვით აშლილობასა და თვითშეფასებასთან 18-დან 29 წლამდე საწყისი ზრდასრულობის ასაკში. კვლევა ჩატარებულია ლუქსის მიერ შემუშავებულ იდენტობის ფორმირების მოდელზე დაყრდნობით, რომელიც შედგება ხუთი სხვადასხვა განზომილებისგან: მუდმივი ძიება, ალტერნატივების ძიება, არჩევანის გაკეთება, არჩევანთან იდენტიფიკაცია, სიღრმისეული ძიება. კვლევა ჩატარდა ერთ ეტაპად, ონლაინ გამოკითხვის მეშვეობით, კვლევის შერჩევა შედგებოდა 287 რესპონდენტისგან, რომელთაგან უმეტესობა წარმოადგენდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს. კვლევაში გამოყენებულ იქნა 3 კითხვარი. ლუქსის იდენტობის ფორმირების პროცესის განზომილების კითხვარი - DIDS, როზენბერგის თვითშეფასების კითხვარი და სპილბერგერის გენერალიზებული შფოთვითი აშლილობის ორი კითხვარი - პიროვნული და სიტუაციური შფოთვითი აშლილობის სუბსკალები. კვლევაში გამოვლინდა დადებითი კორელაციები თვითშეფასებასა და არჩევნის გაკეთებას შორის, სიტუაციურ შფოთვასა და არჩევანთან იდენტიფიკაციას შორის, პიროვნულ შფოთვასა და ალტერნატივების ძიებას შორის და პიროვნულ შფოთვასა და სიტუაციურ შფოთვას შორის, ხოლო უარყოფითი კორელაციები დაფიქსირდა თვითშეფასებასა და სიტუაციურ, ასევე პიროვნულ შფოთვას შორის, თვითშეფასებასა და სიღრმისეულ ძიებას შორის და თვითშეფასებასა და მუდმივ ძიებას შორის. მოცემულმა კვლევამ საშუალება მოგვცა გამოგვეტანა შემდეგი დასკვნები: საწისი ზრდასრულობის ასაკობრივი ჩარჩო საქართველოში ისეთივე აქტუალურია კლინიკური თვალსაზრისით, ანუ მოწყვლადია ფსიქიკური აშლილობების მიმართ, როგორც დასავლურ კულტურებში. აგრეთვე გამოიყო ორი ძირეული კულტურული განსხვავება: 1) ჩვენს კულტურაში იდენტობის ფორმირების ადაპტური პროცესი ზედაპირულად მიმდინარეობს და ნაკლებად ხდება მისი არჩევანთან იდენტიფიკაციით გამყარება. 2)ქართველ საწყის ზრდასრულებში სიღრმისეული ძიება წინ უსწრებს არჩევნის გაკეთებას და იგი სავარაუდოდ დეზადაპტური ბუნებისაა.